საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 26 (6520) 2 ივლისი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანამ ასეთები გვყავს

ოჯახი, სადაც შრომა, პატიოსნება და სიკეთე ყველაზე დიდი ღირსება და იდეალია, საქართველოს საყრდენია, საიმედო საყრდენი. სანამ ასეთები გვყავნან, ქართულ ჯიშსა და გენს გადაშენება არ უწერია. ეს გვასულდგმულებს, ესაა გვიღვიძებს აწეწილ ნერვებს და გვაფიქრებინებს, რომ ბოლოსდაბოლოს ისე როგორ გადავგვარდებით, რომ თეთრი და შავი ვერ გავარჩიოთ, ფასი არ დავადოთ შრომას და ზნეობას.

ქვედა ცაგერშიც არის ერთი ჩვეულებრივი ოჯახი ... სიყვარულით, სითბოთი ... აქ ყველას ... ღვინოც დალოცვილი აქვთ და მასპინძლობაც, სტუმარი ხომ ღვთით მოვლენილია მათთვის.

და მაინც უნდა გამოვყოთ ოჯახის მთავარი დიასახლისი ლეილა დავითულიანი, იგი ერთდროულად კარგი რძალიცაა და კარგი დედამთილიც, კარგი ბებიაც და კარგი მეზობელიც.

ახლა ლეილას საშური დღეები უდგას, ბარე 10 ჩელტამდე აბრეშუმის ჭიას უვლის. უკვე დილკანიდან ამოვიდა ჭია და 7 დღე-ღამე ფოთოლიც ბევრი უნდა, საძირის გამოცვლაც, ჰაერი და ტენი, რომ პარკის ქსოვა დაიწყოს.

აბრეშუმის პარკის ფასის გაზრდა როდია გადამწყვეტი. ლეილა და მისი ქმარ-შვილი ასე გულმოდგინედ შრომობდა ყოველთვის, მათი სინდისის კარნახით, მათივე ღირსებისა და თავმოყვარეობისათვის.

საუკეთესო მოვლილია მათი კარ-მიდამო, ზვარი, სიმინდის ყანები. ხშირად იტყვი: ან კი როგორ ასწრებენ, როგორ აუდიან.

ჯვარი ეწეროს მათ ენერგიას, ღმერთმა მოახმაროთ, სულ ცოტაც და, ალბათ, ათობით კილოგრამ აბრეშუმის პარკს ჩააბარებენ ქვეყანას, მერე ბარაქიან შემოდგომას დაელოდებიან.

გულმართალი, მშრომელი ადამიანები და მათი ბარაქა არ მოუშალოს საქართველოს.

**თ. ყვირილიანი.**

## ს ტ ი ქ ი ა !...

ზნეობრივ კატაკლიზმებს თან ახლავს ხოლმე ბუნების წყრომა. სწორედ ასე გვჭირს ბოლო 5 წლის მანძილზე—საქართველოს არც ერთ რეგიონს არ დაკლებია მიწისძვრა, მეწყერი, ქარიშხალი, ღვარცოფი, სეტყვა.

თითქმის მთელი თვე ემზადებოდა ბუნება საავდროდ, ჭექა-ქუხილით, ელვით, ქარით გვამცნობდა მოახლოებას. 29 ივნისს, გვიან ღამით ძლიერი ქარი ამოვარდა, ქარიშხალი და სეტყვა ერთბაშად დაატყდა ... ლეჩხუმს, გამოირთო სინათლე. უკუნეთ, გვიან ღამეში ვის რა შეეძლო გამძვინვარებულ სტიქიასთან.

ქარიშხალმა, სეტყვამ და ღვარცოფმა დააზარალა რაიონის მთელი რიგი სოფლები. სეტყვამ ბაღ-ვენახებისა და ნათესების დიდი ნაწილი გაანადგურა ზარაგულის, ჭალისთავის, წიფერჩის, ლარჩვალის, ქვედა ალვის, ქულბაქის ტერიტორიაზე; ქვედა ცაგერში ადიდებულმა ღელე-ნაკადულებმა წალეკა ნათესები სიბიკრის უბნის, აეროპორტის მიმდებარე ადგილებში; ცხენის-წყალმა დააზიანა ჭალის ნათესები, ადიდებული ლაჯანური შეიჭრა მოსახლეობაში და დატბორა ნათესები, დააზიანა ორბელი-ლაშიჭალის გზა, ხიდი, დატბორა ქალაქ ცაგერის ქუჩები და მოედნები, ამოივსო წყლის სადინარი არხები..

ყველა რეგიონიდან არცა გვაქვს ზუსტი მონაცემები სტიქიის შედეგებზე, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ახლა საჭიროა საკრებულოების ხელმძღვანელობა, მოსახლეობა, ყველა ერთად დავირაზმოთ ზარალის სალიკვიდაციოდ, რითაც და როგორადაც შეგვიძლია, აღვადგინოთ გზები, ხიდები, მივხედოთ გადარჩენილ ბაღსა და ვენახს, ბოსტანსა და ნათესს, მაქსიმუმი გავაკეთოთ მოსავლის შესანარჩუნებლად.

ბუნება მბრძანებელია, გაჭირვება ისედაც ბევრი გვაქვს, მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და შევებრძოლოთ სტიქიას.

## მეაბრეშუმეებს გაუჭირდათ

რაიონის მეაბრეშუმეებმა კარგად დაიწყეს წლევანდელი სეზონი. თითქმის არც ერთ უბანში არ ყოფილა ისეთი გასაჭირი მურის გავრცელებაზე, როგორიც სხვა დროს იყო. ადამიანები ბოლოსდაბოლოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ უსაშველოდ გაძვირებული და გაჭირვებული ცხოვრებიდან შრომა, თითოეულის მონდომებული გარჯა თუ გამოგვიყვანს. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო მეაბრეშუმეთა მონდომებამ საქმეს ვერ უშველა. ახლა, როცა უკვე სეზონი დასასრულს უახლოვდება და მეაბრეშუმეები სადღაცაა წლის პირველი მოსავლის მიღებას უნდა შესდგომოდნენ, მე—4, მე—5 ასაკში ჭიის დაავადება გაუჩნდა, რასაც სპეციალისტები პებრინას და სიყვითლეს უწოდებენ, აქა-იქ ფლაშერიც შეიმჩნევაო, გვითხრეს. ჭიებს აღნიშნული დაავადება ჯერ აპატარავებს და თუ მეაბრეშუმეებმა დროულად არ უმკურნალეს, სხვადასხვა საშუალებები—ნიორი, ფორმალინი არ მიაშველეს, აბრეშუმის ჭიები იღუპებიან.

როგორც ვარაუდობენ, დაავადება მემკვიდრეობითია და აბრეშუმის მურს შემოჰყვა, აბა, სხვა რა უნდა იფიქრონ, როცა მეაბრეშუმეებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი— ამინდი ჭიის ზრდა-განვითარებისთვის ხელსაყრელია, თუთის ფოთოლი საკმარისი რაოდენობით აქვთ. ისე რომ, არავითარი გარემო პირობები ხელს არ უწყობდა აღნიშნულ დაავადებათა გაჩენა-გავრცელებას.

ნაწილმა უკვე მოასწრო და აახვია პარკი, რაც არის მოსავალი საღია და კარგი. მეაბრეშუმეები რაიონის სპეციალისტთა დახმარებით ებრძვიან დაავადებას, ვინც დროზე მიუსწრებს, დაავადებას ამარცხებს, სადაც ვერ ამარცხებენ, მოსავალი ნახევრდება.

მიუხედავად ამისა, ცაგერისა და ალპანის აბრეშუმის პარკსაშრობები უკვე მზადაა და მეაბრეშუმეებს მიაქვთ მოსავალი.

**თ. დავითულიანი.**

## სოციალური უზრუნველყოფის ახალი სამსახური

გასული წლის 18 მაისს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და ამავე წლის 1 ივლისიდან რაიონშიც ფუნქციონირებს ახალი სამსახური — საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის ცაგერის განყოფილება. განყოფილების ძირითადი მოვალეობა და ამოცანაა რეგიონის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო, კოოპერაციული, კომერციული, გლეხური, კერძო, ერთობლივი საწარმოების სოციალური მომსახურება და ამ საწარმოებიდან სოციალური უზრუნველყოფის სახსრების ამოღება ცენტრალიზებული ფონდის შესავსებად.

აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს ყველა სახის საპენსიო მომსახურებას, ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახების დახმარების დაფინანსებას.

ასე მაგალითად, ცალკეული სოფლების საკრებულოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს ერიცხებათ გარკვეული ოდენობის სახელმწიფო გადასახადი (26 პროცენტის ოდენობით ბიუჯეტის ხარჯზე მყოფთ, 37 პროცენტი— სამეურნეო ორგანიზაციებს). გარდა ამისა უშუალოდ ხელფასიდან ირიცხება სამედიცინო დაზღვევის ერთი პროცენტი. ამასთან ფონდის ფარგლებში ადგილებზე უნდა გაიცეს ყველა მომუშავე პენსიონერის პენსია პენსიის გაცემის დადგენილი წესის მიხედვით. თანხების მიზნობრივ ხარჯვას თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი სამსახური.

ამასთან შეიძლება ასევე ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებით მარტოხელა, დავრდომილთა და ხელმოკლე ოჯახებისათვის ფულადი და მატერიალური დახმარებების გაცემა. ასე რომ, ყველა სახის პენსია თუ დახმარება, რომელიც კანონმდებლობით მიღებულია დღემდე, ფინანსდება ჩვენი ფონდიდან.

ჩვენი სამსახურის შექმნით მოხდა ყველა სახის სახელმწიფო დახმარების ცენტრალიზაცია და იგი ხმარდება მხოლოდდამხოლოდ სოციალურ სფეროს. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალური უზრუნველყოფის ასეთი სისტემა არსად არაა, გარდა ჩვენი რესპუბლიკისა.

ამჟამად სოცანარიცხების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის, პირიქით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აქეთ მოდის. აქამდე ეს თანხა ეკუთვნოდა პროფკავშირებს, ნაწილი საკავშირო სისტემას ერიცხებოდა და არ ხდებოდა რა მისი უშუალოდ რესპუბლიკურ ფონდში მოხვედრა, არც იხარჯებოდა მიზნობრივად. ახლა კი გამიზნულია მხოლოდ სოციალური უზრუნველყოფისათვის და განაგებს ჩვენი სამსახური.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რაიონი დოტაციური რაიონია, სოციალური ანარიცხების გადასახადი არ აღემატება 10 მილიონ მანეთს და ამ დროს რაიონში ყველა სახის დახმარებაზე იხარჯება 15 მილიონი მანეთი. სხვაობას რაიონი ღებულობს რესპუბლიკური ფონდიდან.

გლეხურ მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით კოლმეურნე კატეგორია სრულიად ამოვარდა ხმარებიდან, რადგან კოლმეურნეობები ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებენ. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით არამომუშავე კოლმეურნე პენსიონერებზე პენსიებს გასცემს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, ხოლო მომუშავე კოლმეურნე პენსიონერებზე პენსიები უნდა გასცეს შესაბამისმა კოლმეურნეობებმა, მაგრამ იმის გამო, რომ კოლმეურნეობები არ ფუნქციონირებენ, არა აქვთ შესაბამისი თანხები, მათზე პენსიების გაცემა დროებით შეჩერებულია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვისმეს პენსია მოეხსნა და აღარ მიეცემა. ყველა პენსიონერი ჩვეულებრივად მიიღებს პენსიას, მაგრამ შესაძლებელია შეიცვალოს გამცემი, რაზეც რესპუბლიკის მთავრობა უმოკლეს პერიოდში მიიღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებულთა საპენსიო უზრუნველყოფას, შეცვლილი არაფერია და იგივე წესით მოხდება, როგორც აქამდე ხდებოდა.

აქვე გვინდა გაზეთის მკითხველებმა, რაიონის მოსახლეობამ იცოდეს, რომ რაიონის წარმოება-დაწესებულებათა უმეტესობა ან საერთოდ არ იხდის, ანდა ძალზე დაგვიანებით იხდის სოცანარიცხების 37 პროცენტიან გადასახადს. სწორედ ამიტომაა, რომ მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემების მიხედვით რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციებს 200 ათასი მანეთის დავალიანება აქვთ. რაიონში 30 საწარმოა ისეთი, რომელთაგან თითოეულს გადასახდელი აქვს 5 ათასი მანეთი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველივე ეს ხელს უშლის და ძალზე აბრკოლებს დახმარებებისა და საპენსიო თანხის თავის დროზე მიღებას და გაცემას.

დასასრული მე-3 გვერდზე.

# ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან

პირქუშად დაბჯენიან თანამემამულენი ქართულ მიწაზე დატრიალებული ცოდო-ბრალით, შიმშილითა და გაუსაძლისი ყოფით დაქანცულნი. არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. და იტყვის კაცი: რა დროს წესრიგია და სხვა რამ ყოფითი, ოღონდაც სიცოცხლე, ხვალის ლუკმა იყოს.

და მაინც, გინდა, არ გინდა, გონებითა და გულით იხედები კაცი, აბა, ხომ არ შეიძლება ყველაფერზე ხელი ჩაიქნიო, სხვა რომ არაფერი, თუ მშვიდობა გვეღირსა, ალბათ 10-20 წელიწადი დანგრეულის აღდგენას დასჭირდება.

ჰოდა, გულმა არ გაგვიძლო ხმამაღლა არ გვეთქვა, რაც მწვანე თეატრში და მისირგვლივ ვნახეთ.

ძვირფასო მკითხველო! გვჯერა საამაყო და მშობლიური შენთვის მწვანე თეატრი, მურის ულამაზეს კლდე-კარში დავანებული ეს საოცრება, ბუნებასთან შერწყმული შემოქმედება, სილამაზე და ნიჭი, რა შრომა და ნერვები, რა ენთუზიაზმი წაიღო ამ ადგილმა, არც ეს გესწავლება.

საოცრად რამდენი მოუყვანია ალტაცებაში მწვანე თეატრის, აქ წარმოუთქვამთ ლადოს სტრიქონები გრძნობამორევით გურამ საღარაძეს, ზინაიდა კვერენჩხილაძეს, ტარიელ საყვარელიძეს, სხვა ეშხით უმღერია „ივერიას", ირმა სოხაძეს, ბუბა კიკაბიძეს...

ახლაც ღიღინით ჩაიდუდუნებს იმ დაუვიწყარ საღამოებზე ზევრისმომსწრე ცხენისწყალი...

...დღეს კი ჩვენი სათაყვანებელი მწვანე თეატრი უკაცრიელი, შტატი გაუქმდა, გულშემატკივარი კი აქ არავინ მინახავს. გეფიცებით არ მიმიტოვებია, მიყვარს აქაურობა, მენანება, არ ვაჭარბებ, დღე და ღამ აქა ვარ, თორემ, მერწმუნეთ, საერთოდ არაფერი დაგიხვდებოდათ.

ეთნოგრაფიული დასახლების შესასვლელ ხიდგამოღმა მონაკვეთში ერთი სახლი (თუ არ ვცდებით ლასურიაშის კოლმეურნეობის), როგორც გვითხრეს, თოვლს დაუნგრევია. ნაწგრევები პირწმინდად აუკრეფიათ და წაუღიათ, ყავრის ერთი ნატეხიც არ უზარალებიათ.

სამაგიეროდ, ტილოზე შესრულებული ლადო ასათიანის ძვირფასი პორტრეტი იქვე ალპანის სახლის კედელზე გაძარცვული და გავერანებული.

ჩხუტელელი ჯაბუ ტვილდიანი დაგვიხვდა ადგილზე იქ მისულებს. თვალებს არ დაუჯერა, მართლა აინტერესებს ვისმეს ამ გასაცოდავებული ადგილის ბედით და მთელი გულისტკივილი გადმოგვიშალა:

გასული წლის აგვისტომდე აქაურობის მცველი თავად ვიყავ ოფიციალურად. მას შემდეგ, არ ვიცი რა მოსაზრებით, ჩემი მიუკრავთ გარედან სირცხვილით კანკალით ლივს შევახეთ ხელი ძვირფასი თანამემამულის პორტრეტს, რომელიც, რა თქმა უნდა, ალარაფრად ვარგა.

დანარჩენი სახლები გადაურჩა დიდთოვლობას, მაგრამ უკუღმართ ხელს გადაურჩება თუ არა ხვალ, ვინ იცის.

განადგურებულია თეატრის ლია დარბაზის ხის ძელსკამები, განა რა ენერგიასთან და სახსრებთან იყო დაკავშირებული დაეწყოთ გადახურულში, თუნდაც სცენაზე და გადაერჩინათ ზამთრის სტიქიისაგან.

ამას წინათ ბავშვები კი არა, სერიოზული მამაკაცები ქეიფის ეშხში შესულან მწვანე თეატრის ნაკადულთან, იქვე ტყეში, შეშას რას „იშოვიდნენ" და „სკამეიკა" დაუწვავთ, ნაკვერცხლებზე მწვადები აუშუშხუნებიათ და სულ საქართველოს სადღეგრძელოებში დამაშვრალან.

თეატრის ლოჟის იატაკი აყრილია, ლინოლეუმი აგლეჯილი, ვილაცას თუნუქის სახურავის აგლეჯაც მოუსინჯავს, რამდენიმე ცალი წაუღია კიდეც.

ლოჟის ქვეშ არსებული ბარი საგულდაგულოდაა ჩაკეტილი. მაგრამ ზევიდან აუხდიათ იატაკი და ბარში ჩასვლა უცდიათ.

გაძარცვულია სცენის გასახდელ-სათავსოები, კორიდებში ჩადგმული ლამპიონები, რკინის ღობის რიკულებიც კი წაუღიათ.

ერთი სიტყვით, გული გვეტკინა და თქვენც გატკინეთ.

აღარ ვაპირებთ შეგონებას, ვიცით, დღეს ეს წყლის ნაყვაა, ან კიდეც რომ შევეცადოთ, რა გამოვა.

ამიტომ გამოსავალს ვხედავთ ერთ რამეში. მწვანე თეატრი მარტო კულტურის განყოფილებისა კი არა, თითოეული ჩვენთაგანისა და ყველასი, მინიატურული ლეჩხუმია, ლეჩხუმელი კაცის სულის ნაწილია, მისი ისტორია, აწმყო და ხვალეა. ამიტომ მივხედოთ ხალხო, ვიდრე მთლად გვიან არ არის, ვიდრე სული შერჩენია. ან მივყიდოთ ვისმეს, ან გადავცეთ იჯარით, ჭკვიანი კაცი გააცოცხლებს აქაურობას, აალორძინებს.

აბა, რა პასუხი გავცეთ შთამომავლობას, რა ვუთხრათ წინაპართა აჩრდილებს—აქ მურში, ისტორიულ ალაგს, მე-7 საუკუნის ძეგლი, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი, მურის ციხე-კოშკები, დადიანის საზაფხულო საუფლო და ამდენი რამ რომ შემოგვინახა. ჩვენ კი ვანგრიოთ მწვანე თეატრი, ვანგრიოთ რაჩხა, გავძარცვოთ ქალაქისა და სოფლის მოსაცდელები, ლამპიონები, შევიდეთ მაღაზიაში და მამა-სისხლად შეძენილი შაქარი მოვიპაროთ, სული ამოვხადოთ მეზობელს, ვიყაჩაღოთ, ვიბანდიტოთ?

დავფიქრდეთ ადამიანებო!

---

10 ივნისს ალვის სასოფლო კლუბში შეიკრიბნენ შრომელები, რომლებიც გაცილებას უწყობდნენ ალვის საკრებულოს გამგებელს დიმიტრი [illegible] ძე მუშკუდიანს პენსიაზე გასვლის გამო [illegible] ულოცავდნენ ახალ გამგებელს, ახალგაზრდა მუშაკს, ალვის მკვიდრს, ზურაბ დავითის ძე ყურაშვილს.

დიმიტრი მუშკუდიანმა შრომითი საქმიანობა თავის სოფელ ალვში დაიწყო. იგი 1974-1976 წლებში მუშაობდა ალვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, 1976-1978 წლებში ლასურიაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა,

# ამაგდარი

რამდენიმე წელი მუშაობდა დამამზადებლად, ლასურიაშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგედ, ხოლო 1985 წლიდან დღემდე ჯერ ალვის სასოფლო საბჭოს, ხოლო შემდეგ საკრებულოს გამგებელია. ყველგან, სადაც კი მუშაობდა, იჩენდა პრინციპულობას, საქმისადმი ერთგულებას.

გაცილების საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ ჟორა ყურაშვილი, გრიგოლ ახვლედიანი, ომარ მიქაძე და სხვები.

ითქვა, რომ დ. მუშკუდიანმა სხვებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა მდინარე ცხენისწყალზე 140 მეტრიანი ხიდის მშენებლობის საქმეში, მისი ხელმძღვანელობით კეთილმოეწყო სასოფლო გზები, ყველა უბანს გაუყვანილ იქნა სასმელი წყალი, მონდომებით ზრუნავდა სოფლის კეთილმოწყობისათვის. მშრომელებმა დიმიტრის მადლობა გადაუხადეს იმ ღვაწლისათვის, რაც მან გასწია მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის, უსურვეს ჯანმრთელობა და კვლავაც ნაყოფიერი მუშაობა, პატივცემულმა დიმიტრიმ მადლობა გადაუხადა თანასოფლელებს მისი მუშაობის ესოდენ დაფასებისათვის და აღუთქვა მათ როგორც დეპუტატი გვერდში ამოუდგება საკრებულოს ახალ გამგებელს და კვლავ ხალხის მსახური იქნება.

კეთილი სიტყვებით, ლიმილით, ვარდებით გააცილეს ღვაწლმოსილი გამგებელი დ. მუშკუდიანი, გზა დაულოცეს და წარმატებული მუშაობა უსურვეს ახალ გამგებელს, თანასოფლელ ახალგაზრდას ზურაბ ყურაშვილს.

**შ. ყურაშვილი,**
სოფელი ალვი.

## ტკივილიანი ეტიუდები

კომერციულ მაღაზიაში 100 მანეთიან კამფეტზე დიდი რიგია. პაწიამ დედის კალთას ხელი უშვა და კამფეტისკენ გაექანა. პირში ჩადებული 8 მანეთიანი კევი სიხარულისაგან გადაეყლაპა.

გამყიდველი: ქალბატონო, კომერციულში ბავშვის შემოყვანა რომ არ შეიძლება, ვეღარ გაიგეთ?

* * *

ტრასაზე საგზაო სამმართველოს მუშაკები გამოჩნდნენ, ქალაქის შემოსასვლელში ასფალტს აგებდნენ.

მგზავრი: მადლობა ღმერთს, მთლად არ დაქცეულა ქვეყანა.

---

მოზარდი. სკოლა, საზოგადოება

# მშობელთა კომიტეტი დიდი ძალაა

ამ ძნელბედობის ჟამს, ქვეყანაში შექმნილ ქაოსურ ვითარებაში, ძნელია ისაუბრო სკოლის რომელიმე საკითხზე. ბოლო წლებში სასწავლო-საალმზრდელო სისტემაში ბევრი თავსატეხი პრობლემა გაჩნდა, რომლის დაძლევისათვის ზუბის საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი ცოდნას, ძალასა და ენერგიას არ იშურებს და გარკვეულ შედეგებსაც ვაღწევთ.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ შემთხვევაში წარიმართება კარგად, როდესაც მოსწავლეთა მშობლები და აღმზრდელი მასწავლებლები შეგნებულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ერთობლივი ღონისძიებებით ყველ ფერს გააკეთებენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის. ამიტომ საჭიროა სკოლისა და ოჯახის კავშირის განმტკიცება, რომლის უმნიშვნელოვანესი ფორმაა მშობელთა კომიტეტი, მის მოქნილ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის განმტკიცება.

სკოლის დირექციამ, პედაგოგიურმა კოლექტივმა სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადა მშობელთა კომიტეტის მეტად მოქნილი მართვადი სამუშაო გეგმა, წინასწარ მოვეთათბირეთ მშობლებს, შეირჩა მშობელთა კომიტეტში ღირსეული კანდიდატები, რომლებსაც გული შესტკივათ სკოლაზე, სოფელზე, ახალგაზრდობის სწორ აღზრდაზე და საერთოდ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე, ხელეწიფებათ უხელმძღვანელონ ამ პასუხსაგებ უბანს. ამის შემდეგ მოწვეულ იქნა მშობელთა საერთო კრება. კრებამ აირჩია მშობელთა კომიტეტი ცხრა კაცის შემადგენლობით. კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს სამი შვილის მამა გიგლა ბენიძე.

მშობელთა კომიტეტი სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობას ემსახურება. მისი მუშაობის დევიზია კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ოჯახსა და სკოლას შორის, მისი მუშაობა მიმართულია ძირითადი მიზნის, მოზარდი თაობის სწორი აღზრდის განხორციელებისაკენ, რისთვისაც პირველხარისხოვან მნიშვნელობას ვანიჭებთ მშობელთა პედაგოგიზაციას. სკოლის ხელმძღვანელები, გამოცდილი პედაგოგები მშობელთათვის ატარებენ ლექციასაუბრებს აღზრდის აქტუალურ საკითხზე.

მშობლები სისტემატურად მოდიან სკოლაში და ეცნობიან ახალგაზრდობის აღზრდის პერსპექტიულ ფორმებსა და მეთოდებს. პედაგოგები და მშობლები დაკვირვებას ახდენენ აღსაზრდელის ქცევაზე და სათანადო დასკვნებსაც აკეთებენ, რაც ხელს გვიწყობს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

მშობელთა კომიტეტი კლასის ხელმძღვანელებთან, სკოლის პედკოლექტივთან ერთად რჩევა-დარიგებებით ეხმარება მშობლებს ბავშვების შრომისა და დასვენების, დღის რეჟიმის დაცვის ორგანიზაციის და ოჯახში მათი აღზრდის საქმეში. სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ პედაგოგებმა და მშობლებმა პირადი მაგალითით დაარწმუნონ ბავშები სიმართლისა და პატიოსნების სიკეთეში.

მშობელთა კომიტეტმა სასწავლო წლის განმავლობაში ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ეზო-გარემოს გამშვენიერებისათვის. ბევრმა მათგანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სასკოლო ინვენტარის, დგამ-ავეჯის გარემონტებაში. დიდთოვლიანი ზამთრის პირობებში რამდენჯერმე გაწმინდეს გზები, დახმარება გაგვიწიეს სკოლის გადმოთოვლვაში, სკოლაში სასწავლო პროცესი ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. ის ფაქტი, რომ იშვიათია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, ადგილი არ აქვს მოსწავლეთა ქცევის წესების უხეშ დარღვევებს, არ გვყავს ძნელად აღსაზრდელები, კარგი მაჩვენებლებით დამთავრდა სასწავლო წელი, ეს პედკოლექტივთან ერთად მშობელთა კომიტეტის დამსახურებაცაა.

ამჟამად მშობელთა კომიტეტმა ახალი ინიციატივა გამოიჩინა. ძლიერმა მიწისძვრამ, დიდთოვლობამ მეტისმეტად დააზიანა სკოლის შენობა, განსაკუთრებით შიფერის სახურავი. მასიურად ჩამოდის წვიმა, მშობელთა კომიტეტმა, მისმა თავმჯდომარემ მიმართა განათლების განყოფილების გამგეს საზაფხულო არდადეგების პერიოდში სკოლას გამოუყოს სახურავისთვის საჭირო თანხა, გადაიხუროს სკოლა თუნუქით, რაზეც მშობლები უფასოდ იმუშავებენ. განათლების განყოფილება გულისხმიერებით მოეკიდა ამ თხოვნას და ვფიქრობთ, სიტყვა საქმედ იქცევა—საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში გვაქვს ზოგიერთი ნაკლოვანებები. ვცდილობთ დავძლიოთ ეს ნაკლოვანებანი. ჩვენი მთავარი ამოცანაა, აღვზარდოთ ერის ღირსეული შამულიშვილები, რისთვისაც მთელი პედაგოგიური კოლექტივი, მშობელთა კომიტეტი, მშობლები მობილიზებული ვართ.

**ვ. ჩაკვეტაძე,**
ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალური უზრუნველყოფის ახალი სამსახური

(დასასრული)

აქვე მინდა განვმარტო, თუ ვის ეხიშნება სოციალური პენსია. სოციალური პენსია ენიშნება იმას, ვისაც არსად არ უმუშავნია, მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა. რაიონში სულ 3500-მდე პენსიონერია და აქედან სოციალური პენსია არავის არა აქვს. იქნებ არის ვინმე ისეთი, რომელსაც ეკუთვნის და არავისთვის მიუმართავს.

ახლა, როცა კერძო მეურნეობება შექმნილი, ბევრს აინტერესებს თუ როგორი იქნება საპენსიო უზრუნველყოფის საქმე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მეურნის გადასახადი, რომელშიც შევა ყველა სახის სოციალური გადასახადი და როცა ამას მეურნე გადაიხდის, ისარგებლებს ყველა სახის სოციალური მომსახურებით და ქმნის კიდეც მისი საპენსიო უზრუნველყოფის გარანტიას.

**ი. ჩარკვიანი,**

სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი რესპუბლიკური ფონდის ცაგერის განყოფილების გამგე.

# კრიმინალური ქრონიკა

მიმდინარე წლის 17 ივნისს 22 საათსა და 40 წუთზე ცაგერის რაიონის სოფელ ისუნდერში მცხოვრებმა აკაკი გერასიმეს ძე კუხალაშვილმა სანადირო თოფის გასროლით მოკლა ამავე სოფელში მცხოვრები ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძე.

მკვლელი აკაკი კუხალაშვილი მიიმალა. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს ძებნა და გამოძიება.

1992 წლის 12 ივნისს 21 საათზე წყალტუბო-ცაგერის გზის 57—ე კილომეტრზე მოძრაობდა ავტომანქანა უაზ—469 სახელმწიფო ნომრით 9078 გაც, რომელიც ეკუთვნის ლენტეხის სანიტარული სპეციალური ავტოსაწარმოს ცაგერის ავტომეურნეობას. მძღოლმა, ქვედა ცაგერის მცხოვრებმა ჟორესი გრიშას ძე სალინაძემ ვერ უზრუნველყო ავტომანქანის მართვა, შეეჯახა მოქალაქე ოთარ გიორგის ძე ლიპარტელიანს და მიაყენა სხეულის დაზიანება.

1992 წლის 27 ივნისს, ღამით ჯერ კიდევ დაუდგენელმა პირებმა გატეხეს და გაქურდეს ქვედა ცაგერის სოფლის მაღაზია, საიდანაც გაიტაცეს მოსახლეობაზე მისასყიდად განაწილებული შაქრის გარკვეული რაოდენობა.

გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

**რედაქტორი**
**ნ. ნემსაძე.**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გულითადად გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთმა დაგლოცოთ, შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

**რაიკოოპერატივის თანამშრომლები.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**მაია, ციალა, გელა კვენეტაძეები.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ფუძე.

**დარეჯან, თინიკო, რამაზ მახარობლიძეები, მურთაზ ფრუიძე, თინიკო, ლილი კვენეტაძეები, ქეთინო ჩაჩხიანი.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.

**ანა, ბაგრატ ჩაჩხიანები, ლელა, ჯონი ურთმელიძეები, ნინო, ტარიელ ახვლედიანები, მთვარისა სილაგაძე.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. უფალი შეგეწიოთ.

**ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**მარინე, რეზო გოლეთიანები.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, უფალი შეგეწიოთ!

**მანანა, ნუკრი ჯანაძეები.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას.

**ნინო, ნანა გუგავები, კახა ბურჯალიანი.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**თამრიკო ამყოლაძე, მაია ბენიძე.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**ლია ჯაფაძე.**

**აზა დავითულიანს, ბახვა სალინაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.

**ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები.**

**ნატო ჩაკვეტაძეს, ანზორ ბენდელიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. დაგბედებოდეთ ნატვრის ახდენა.

**რიტა ომანაძე, მარიტა ჩაკვეტაძე.**

**მანანა ლეშკაშელს, მირიან ფრუიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების თანამშრომლები.**

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

**ნათელა კოპალიანი.**

**ნუნუ ანზორის ასულ მუშკუდიანს**
**შიო შალვას ძე ომანაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ზნემაღალი და ფუძეძლიერი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები.**

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ.

**ალეკო, ნინო ცხვედიანები.**

**ინეზა ზაურის ასულ გვიშიანს**
**ზაზა ავდიდოს ძე ყურაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სანიმუშო ქართული ოჯახის შექმნას, ზღვა სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**ომარ ჭაბუკიანი, მანანა კუხალაშვილი, ძაძუ ახვლედიანი, ლამარა ბერიძე, ქეთინო ლიპარტელიანი, ლია, მანანა მუშკუდიანები, ლალი მურცხვალაძე, ნანული სადილიანი.**

**ინეზა გვიშიანს, ზაზა ყურაშვილს**

ღმერთმა დაგლოცოთ და აკურთხოს თქვენი შეუღლება. გემრავლოთ, მარადიულ სიხარულს და სიკეთეს [illegible] თქვენს ოჯახში.

**„ქარტია—91“-ის წევრები.**

**ნანა, ვასო, აზა, ბახვა სალინაძეებს**

გილოცავთ ბუნების ულამაზესი კანონის აღსრულებას—ქორწინებას. გამრავლდით და გაიხარეთ.

**ბიძინა, შალვა სალინაძეები, ტიტიკო კოპალიანი ოჯახებით.**

## გილოცავთ

**ლია, ზაურ, ნატო, ნანა ახვლედიანებს**

გილოცავთ ნინოს ბედნიერებას. კვლავ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახის ფუძე-კერი.

**ჯაბო დავითულიანი, გოჩა სვანიძე, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით.**

**რუსიკო, ვალოდია, იზა დავითულიანებს**

გილოცავთ შვილისა და დის ბედნიერებას.

**ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.**

**მანანა, ემზარ გუგავებს**
**ნადია, დათო გუგავებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და ძმისშვილის შეძენას. აღზრდილიყოს სასახელო ქართველი ქალი.

**უჩა, ბორის, ვეჭერა, მაგული გოლეთიანები, ბესიკ ჭაბუკიანი.**

**თინა გოლოძეს, მურთაზ ფრუიძეს**

გილოცავთ მირიანის ბედნიერებას.

**კავშირგაბმულობის ალპანის განყოფილების თანამშრომლები.**

**ნათელა, ზაურ გვიშიანებს**

გილოცავთ შვილის, ინეზას ბედნიერებას.

**ანზორ გიორგობიანი, ტარიელ სილაგაძე ოჯახებით.**

**მაგული ხეცურიანს**

გილოცავთ ძმისშვილის მაიას ბედნიერებას. დღეგრძელი და ფუძეძლიერი ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.

**ღვირიშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.**

**შოთა ლიპარტელიანს**

ბიძი, გილოცავთ დაბადების დღეს.

**ლალი, დათო კოპალიანები.**

**ციცო მუშკუდიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ დღეგრძელობას და მხნეობას.

**ცაგერის № 2 საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი.**

**დარეჯან, შურმან, დესიკო, ოთარ, შორენა, ქეთინო, ირინე სვანიძეებს**

გილოცავთ შვილის, შვილიშვილის და ძმისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**ნუცა, ჯენი, ოთარ, ჯეირან ჩხეტიანები, ნანა, თემურ ეგუტიძეები.**

**რუსიკო ახვლედიანს,**
**ლამზირა, იზა, გალო, ვალოდია დავითულიანებს**

გილოცავთ აზას ბედნიერებას.

**რენო, ემზარ დავითულიანები ოჯახებით.**

**ნორა, ნინო, მუხრან ლიპარტელიანებს**

გილოცავთ შვილიშვილის და შვილის შეძენას. გაგეზარდოთ ჯანმრთელი და ბედნიერი.

**ლალიკო მინდაძე ოჯახით.**

**რუსიკო, ვალოდია დავითულიანებს**

გილოცავთ აზას ბედნიერებას. შვილმრავალი, ფუძეძლიერი ოჯახი შეექმნას.

**ალბერტ ჩაჩხიანი ოჯახით.**

**ლეილა სილაგაძეს**

გილოცავთ ლალის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.

**საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის კოლექტივი.**

**გიორგი გიორგის ძე კვერკაშვილს**

გილოცავთ დაბადების დღეს, იყავ დღეგრძელი, გფარავდეს ღმერთი.

**ბიძაშვილები—ნათია, ტატო გუგავები.**

**ვალერი თედორეს ძე ბენიძეს**

გილოცავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. გისურვებთ წარმატებებს.

**ბაბუცა მუშკუდიანი, დოდო, ვარლამ ჩაკვეტაძეები ოჯახებით.**

**მაგული, გურამ, ირმა, მამუკა ბენდელიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. სასახელო ქალი აღზრდილიყოს.

**გულნაზი კოპალიანი, საშა, გულნაზი ხაბულიანები, მაყვალა, ნანი, ნაზიკო, ლიდა ლეთოდიანები, ფოთოლა ჯიაძე, ნაზიკო ლაზარიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები ვაჟა, ლილი, ავთო, გენო, სერგო, რომანი, ნაპოლეონი, რძლები გუგული ჯავახაძე, ნათელა მიქაუტაძე, ლეილა ფუტკარაძე, მაყვალა, გულო ყურაშვილები, მარინე ირემაძე, ლელა კოპალიანი, ლია ჯავახაძე, შვილიშვილები, შვილიშვილისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოლღა ნესტორის ასული ლეთოდიანი-ღურჭუმალიძე.**

დაკრძალვა 5 ივლისს, კვირას, სოფ. ნასპერში.

---

მეუღლე შალვა, შვილები ლეილა, ლალი, სიძეები დიდიმ ბანძელაძე, ბორის ჩუბინიძე, შვილიშვილები ნათია, მირანდა, ირმა, თამუნა, სოფიკო, ძმა ალექსანდრე, მაზლი ვალიკო, რძლები თინა დადეშქელიანი, თინა ხეცურიანი, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარგალიტა დიანოზის ასული ნემსწვერიძე-გაბიძაშვილი.**

დაკრძალვა 5 ივლისს, კვირას, სოფ. ორხვში.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1983 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ზურაბ ნემსწვერიძეს დედის

**ლია შკუბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 2 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

**ლიანა ივანეს ასული ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას.

---

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნარგიზა, გივი შკუბულიანებს

**ლია შკუბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ოთარ ყურაშვილს შვილის

**თამაზ ყურაშვილის**

და შვილიშვილის

**არჩილ ბაკურაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალოდია გოგიძე, მურთაზ კოპალიანი, გოგი ნემსწვერიძე, ბადრი ჭოხონელიძე, ამირან ჭარხალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ, ბათო ყურაშვილებს

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

ენგელი აფრიდონიძე ოჯახით თანაუგრძნობს ციალა, მამუკა გოგიძეებს მამისა და სიმამრის

**ბესიკ გავაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების და დაცვის ქვეგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გენო, სერიოჟა ღურჭუმალიძეებს, ზაზა კაპანაძეს დედისა და ბებიის

**ოლღა ღურჭუმალიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვენედი ჭილვარია, სოსო ხვადაგიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მაყვალა, სერიოჟა ღურჭუმალიძეებს

**ოლღა ღურჭუმალიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები დოდო, შუქური, ჯუმბერი, ძმა გრიშა ჭილვარიები, რძლები დომნა, ზანი, ქუქუნა, მანანა, სიძე გერონტი კალანდაძე, ძმისშვილი ბახვა, შვილიშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლავრენტი პავლეს ძე ჭილვარია**

დაკრძალვა 4 ივლისს, შაბათს, სოფ. ლასხანაში.

---

მურთაზ, ჯემალ ჩაჩხიანები, თენგიზ გოქაძე, ნელი თვარაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნადია მოწონელიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ოთარ კლიმენტის ძე ხეცურიანი ოჯახით იუწყება

**ჭიჭიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას.

---

ზუბის საშუალო სკოლის 1976 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

რაისაავადმყოფოს სასწრაფო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო შკუბულიანს დის

**ლია შკუბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნასპერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ოლღა ღურჭუმალიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ამირან მურთაზის ძე ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ ყურაშვილის ოჯახს შვილის

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

მზია ბერიძე, ლალი ჯიქია, დალი ხმელიძე, მაგული ხეცურიანი, გულნაზი გოგიძე, ნატო ჩაკვეტაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჭიჭიკო ხეცურიანი.**

---

სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე, ბონდო ხეცურიანებს მამამთილისა და მამის

**ჭიჭიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის კოლექტივი თანაუგრძნობს სერგო ღურჭუმალიძეს დედის

**ოლღას**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა ფუტკარაძე ოჯახით თანაუგრძნობს გენო, სერიოჟა, რომან ღურჭუმალიძეების ოჯახებს დედის

**ოლღას**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჭიჭიკო ტერენტის ძე ხეცურიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ გრიშა ჭილვარიას ძმის

**ლავრენტი ჭილვარიას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ლალი, ზურაბ ნემსწვერიძეები, ძმები ჯიბილო, გივი, დები ნანული, ნინო, თამარი, ნაზი შკუბულიანები, რძლები თამარ ნემსწვერიძე, ნარგიზა მურცხვალაძე, ძმისშვილები, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლია ვანოს ასული შკუბულიანი-ნემსწვერიძე.**

დაკრძალვა 2 ივნისს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სერიოჟა ღურჭუმალიძეს დედის

**ოლღას**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ ხვადაგიანი, გრიშა ონიანი, ნუშარ ლეთოდიანი, გივი, კობა, სამსონ, ანზორ, გურამ მდივნები ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ და ბათო ყურაშვილებს

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ, გურამ, ჯამლეთ ნემსაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ თინა, ტატიანა, ოთარ ყურაშვილებს

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები პაშა მიქაუტაძე, ქუქუნა გიორგაძე, მერი ჩაკვეტაძე, ელისო ყურაშვილი, ტატიანა ცეცხლაძე, მარო გოლეთიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**შურა დომენტის ასული სანთელაძე-ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

---

ნაკურალეშის საკრებულოს, კავშირგაბმულობის განყოფილების, კლუბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა, გულო ჩიქოვანებს რძლის

**შურა სანთელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვანო სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ, თინა, ტატიანა, ბათო ყურაშვილებს

**თამაზის**

და

**არჩილის**

გარდაცვალების გამო.

---

სლავა ელისაშვილის ოჯახი იუწყება

**ლია ნემსწვერიძის**

გარდაცვალებას.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1965 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი დოდო ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ ფატი ხეცურიანს მამის

**ჭიჭიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

№ 23 საგზაო სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ოთარის ძე ყურაშვილი.**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სოფლმშენკომპლექსის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლალი ნემსწვერიძეს დედის

**ლია ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირმა ლიპარტელიანს ბიძის

**ჭიჭიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

# ყურადღება!

მიმდინარე წლის 17, 18, 19 ივლისს თბილისში ჭადრაკის სასახლეში გაიმართება შეხვედრა-სემინარი. სემინარზე რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს:

რესპუბლიკის სამეწარმეო კანონმდებლობის პაკეტის საერთო მიმოხილვა—ძირითადი კანონები და დადგენილებები სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;

მინისტრთა საბჭოს დადგენილება (№ 323) დემონოპოლიზაციის შესახებ და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები;

პრივატიზაციის ძირითადი ასპექტები—რესპუბლიკის კანონმდებლობა, მათ შორის მიწის პრივატიზაციის;

თქვენ საშუალება გექნებათ მოისმინოთ კვალიფიციური პასუხები თქვენთვის საინტერესო ყველა შეკითხვაზე.

სემინარის მეორე ნაწილში პასუხებს მიიღებთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე:

მომარაგება-გასაღების პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში—საბირჟო საქმიანობა (საშუალება მოგეცემათ რეალური, პრაქტიკული კონტაქტები დაამყაროთ მომარაგება-გასაღებაზე სპეციალიზირებულ ფირმებთან);

საბანკო-საფინანსო ურთიერთობები საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

კომერციული საქმიანობის დაზღვევა (საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**სემინარ-შეხვედრაზე ვიწვევთ კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, კომერციულ და მარკეტინგ-დირექტორებს, ყველას, ვისაც აინტერესებს პრივატიზაციის, დამოუკიდებელი სახელმწიფო საწარმოს ჩამოყალიბების, მომარაგება-გასაღების სესხის მიღებისა და თავისი წამოწყების დაფინანსების სამეწარმეო კანონმდებლობის საკითხები.**

სემინარის მსვლელობის დროს ჩატარდება სხვადასხვა ფირმების პრეზენტაციები, საბითუმო ვაჭრობა, გამოფენები და სხვა.

**თქვენ საშუალება გექნებათ დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები სხვადასხვა ფირმებთან, საბროკერო ფირმებს შეუკვეთოთ თქვენთვის საჭირო პროდუქცია და მასალები, შეიქმნათ საფუძველი თქვენი პროდუქციის გაცვლისა და გასაღებისათვის, დააინტერესოთ ბანკირები თქვენი საწარმოთი და აწარმოოთ მოლაპარაკებები სესხის მიღების თაობაზე და, რაც მთავარია, მიიღოთ ცოდნა და ნაცნობობა. ასე რომ, თქვენი სემინარზე დასწრება სავალდებულოა!**

სემინარზე დასწრება ფასიანია. ღირებულება 2000 მანეთი (პლუს 28%). თანხა უნდა ჩაირიცხოს ანგარიშზე № 000 468 451 მთაწმინდის რაიონის სოცბანკი. მფო 52 16 20 მიმღები: საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი „აია—60". საგადასახადო დავალებაში მიუთითეთ: „სკოლა-სემინარში მონაწილეობის მისაღებად".

მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ გაუხსნია საწარმო, შეუძლიათ შეღავათიან ფასად—500 მანეთად დაესწრონ შეხვედრა-სემინარს. ანგარიშსწორება ადგილზე—სათანადო ცნობის გაცემით ბუღალტერიისათვის.

მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 8-დან 14 საათამდე 17, 18, 19 ივლისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში (მეტროს სადგურ „რუსთაველთან") მონაწილეებმა, რომლებმაც გადმორიცხეს თანხა, თან უნდა იქონიონ გადმორიცხვის დამადასტურებელი საბუთი. სემინარები დაიწყება 9 საათზე.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი „აია—60".

---

შვილები ნელი, ონერ ნემსწვერიძეები, რძალი ციცო ბურჯანაძე, შვილიშვილები თამრიკო, თინიკო, ნინო, მაზლისშვილები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ნოეს ასული ლომთაძე-ნემსწვერიძე.**

დაკრძალვა 5 ივლისს, კვირას, სოფელ ტვიშში.

---

კობა კოპალიანი ოჯახით იუწყება

**თამაზ (ბულა) ყურაშვილის**

გარდაცვალებას.

---

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფატი ხეცურიანს მამის

**ჭიჭიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რუბენ გოგიძე, ქუჩუკი შკუბულიანი, მიშა ყურაშვილი, მალხაზ, ზურაბ ლიპარტელიანები, ბიძინა პირველი, რეზო სალინაძე, დათო, დადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები თანაუგრძნობენ მაყვალა, სერიოჟა ღურჭუმალიძეებს დედამთილისა და დედის

**ოლღა ლეთოდიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ ასათიანი, მიშა ყურაშვილი, მალხაზ, ზურაბ ლიპარტელიანები, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ბიძინა პირველი, რეზო სალინაძე, დათო დადაში, ჯონი, ზაზა დავითულიანები თანაუგრძნობენ ციალა, მამუკა გოგიძეებს მამისა და სიმამრის

**ბესიკ გავაშელის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.